საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/11284
09/11/2017

11284-09-2-2-201711091027

საქართველოს სტრატეგიული კვლევის

და განვითარების ცენტრის პროგრამის

კოორდინატორს ვ. კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

2017 წლის 2 ნოემბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურში შემოვიდა თქვენი N18317 წერილი, რომლის თანახმად ითხოვდით რიგ განმარტებებს ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილი“-ს („ბლექ სი ჯორჯია“) სანელებლების წარმოების თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილი“ ნედლეულს ღებულობდა ი/მ „თინა ბეგლარაშვილი“-ს სანელებლების საწარმოდან, რომლის ნიმუშებშიც (აღებული სახელმწიფო მონიტორინგის ფარგლებში) დადგინდა მძიმე მეტალით (ტყვიით) დაბინძურების ფაქტი.

სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილის“ საწარმოში ადგილზე არ იყო ყვითელი ყვავილის მარაგი, რის გამოც, ვერ განხორციელდა აღნიშნული სურსათის განმეორებითი ლაბორატორიული კვლევა. ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილს“ დაევალა, ქსელიდან გამოეთხოვა ტყვიით დაბინძურებული, მის მიერ წარმოებული ყვითელი ყვავილი-ზაფრანა (გამოშვებული 08.06.2017წ. ვადით 18 თვე).

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

დღეისთვის ბიზნესოპერატორის მიერ გამოთხოვილია ზემოაღნიშნული პროდუქტი ს.ს „გუდვილი“-ს, შპს „აიბაზარი“-ს და შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“-ს სარეალიზაციო ქსელიდან. სურსათის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ქსელიდან ამოღებული და ტყვიით დაბინძურებული სურსათი განადგურდება.

პატივისცემით,

ვასილ ბასილაძე

სამსახურის უფროსი